


სარეცხი მანქანა

მომხმარებლის სახელმძღვანელო

Стиральная машина

Инструкция по эксплуатации



WTE 5512 B0

KA / RU

ეს განყოფილება მოიცავს უსაფრთხოების წესებს, რომლებიც დაგეხმარებათ დაზიანებების და მატერიალური ზიანის რისკის თავიდან აცილებაში. ყველა სახის გარანტია ჩაითვლება ბათილად, თუ მოცემული ინსტრუქცია არ იქნება დაცული.

1.1 სიცოცხლის და ქონების უსაფრთხოება

- ▶ არ მოათავსოთ პროდუქტი ხალიჩით დაფარულ იატაკზე. მანქანის ქვეშ ჰაერის ნაკადის ნაკლებობა ელექტრონაწილების გადახურებას გამოიწვევს. ეს თქვენს პროდუქტს პრობლემებს შეუქმნის.
- ▶ თუ არ იყენებთ მანქანას, ქსელიდან გამორთეთ.
- ▶ მონტაჟისა და შეკეთების პროცედურები ყოველთვის ლეგალიზებული მომსახურების აგენტის მიერ უნდა განხორციელდეს. მწარმოებელი არ იქნება პასუხისმგებელი არალეგალიზებული პირის მიერ შესრულებული პროცედურების გამო წარმოქმნილ დაზიანებებზე.
- ▶ წყლის მიწოდებისა და დრენაჟის შლანგები საიმედოდ უნდა იყოს მიმაგრებული და დაუზიანებლად დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს წყლის გაჟონვა.
- ▶ სანამ მანქანაში წყალი ისევ არის, არ გააღოთ ჩასატვირთი კარი და არ მოხსნათ ფილტრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს ცხელი წყლის გამოდინებისა და მისგან მიღებული დაზიანების რისკი.
- ▶ დაკეტილ ჩასატვირთ კარს ძალით ნუ გააღებთ. კარის გახსნა შეიძლება სარეცხი ციკლის მთავრდების შემდეგ რამდენიმე წუთში. ჩასატვირთი კარის ძალით გაღების შემთხვევაში, შესაძლოა კარი და საკეტი მექანიზმი დაზიანდეს.
- ▶ გამოიყენეთ მხოლოდ ავტომატური სარეცხი მანქანისთვის შესაფერისი სარეცხი საშუალებები, დამარბილებლები და დანამატები.
- ▶ ყოველთვის ისარგებლეთ ქსოვილის იარლიყებსა და სარეცხი საშუალების შეფუთვაზე მითითებული ინსტრუქციით.

1.2 ბავშვების უსაფრთხოება


- ▶ ამ პროდუქტის გამოყენება შეუძლიათ ბავშვებს, რომლებიც არიან 8 წლის და მეტი ასაკის და ადამიანებს, რომელთა ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი უნარები არ არის სრულად განვითარებული და არ აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება, მაშინ, როცა ისინი არიან ზედამხედველობის ქვეშ ან შეისწავლეს პროდუქტის უსაფრთხო გამოყენების წესები და იციან მათი რისკების შესახებ. ბავშვებმა არ უნდა ითამაშონ მანქანით. დასუფთავება და დალაგება არ უნდა განახორციელოს ბავშვმა ზედამხედველობის გარეშე. 3 წლამდე ბავშვები მოარიდეთ მანქანას, თუ ისინი არ არიან მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ.
- ▶ შესაფუთი მასალები შეიძლება სახიფათო იყოს ბავშვებისთვის. იქონიეთ შეფუთვის მასალები უსაფრთხო ადგილზე, ბავშვებისგან მიუწვდომლად.
- ▶ ელექტრო პროდუქტები სახიფათოა ბავშვებისთვის. მოაშორეთ ბავშვები მანქანას, როცა ის ჩართულ მდგომარეობაშია. არ მისცეთ საშუალება, რომ ითამაშონ მანქანით. გამოიყენეთ ბავშვებისგან დამცავი საკეტი, რათა ბავშვებმა მანქანის მუშაობას ხელი არ შეუშალონ.
- ▶ არ დაგავიწყდეთ ჩასატვირთი კარის დაკეტვა, როცა იმ ოთახიდან გადიხართ, სადაც მანქანაა მოთავსებული.
- ▶ შეინახეთ ყველა სარეცხი საშუალება და დანამატები უსაფრთხო ადგილზე, ბავშვებისგან მიუწვდომლად, დახურეთ სარეცხი საშუალების კონტეინერი და შეფუთვა.

1.3 ელექტრო უსაფრთხოება


- ▶ თუ პროდუქტი გამართულად არ მუშაობს, ის ექსპლუატაციაში არ უნდა მოიყვანოთ, სანამ ლეგალიზებული მომსახურების აგენტი მას არ შეაკეთებს. დენის დარტყმის რისკი!
- ▶ ეს პროდუქტი შექმნილია ისე, რომ ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში, მუშაობა კვლავ განაგრძოს, მისი მიწოდების შემდეგ. თუ პროგრამის გაუქმება გინდათ, იხილეთ "პროგრამის გაუქმების" ნაწილი.
- ▶ მანქანა შეაერთეთ დამიწებულ როზეტთან, რომელიც დაცულია 16 A მცველით. ნუ უგულვებლყოფთ დამიწებულ მონტაჟს, კვალიფიციური ელექტრიკოსის მიერ. ჩვენი კომპანია პასუხს არ აგებს რაიმე ზიანზე, რომელიც წარმოიშობა, როცა პროდუქტი გამოიყენება დამიწების გარეშე, ადგილობრივი დებულებების თანახმად.

- ▶ არ გარეცხოთ მანქანა მასზე წყლის შესხურებით ან მისხმით! დენის დარტყმის რისკი!
- ▶ არ შეეხოთ დენის კაბელის შტეკსელს სველი ხელებით! არ მოქაჩოთ კაბელი მანქანის გამორთვის დროს, ყოველთვის ერთი ხელით დაიჭირეთ როზეტი და შტაპსელი ქსელიდან გამორთეთ მეორე ხელით.
- ▶ მანქანა უნდა გამოირთოს ქსელიდან მონტაჟის, მოვლის, გასუფთავებისა და შეკეთების პროცედურების დროს.
- ▶ თუ დენის კაბელი დაზიანებულია, ის უნდა შეცვალოს მწარმოებელმა ან გაყიდვების სამსახურმა ან კვალიფიცირებულმა პირმა (სასურველია ელექტრიკოსმა) ან იმპორტიორის მიერ დანიშნულმა პირმა, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო რისკები.

1.4 ცხელი ზედაპირის უსაფრთხოება

	<p>მაღალ ტემპერატურებზე რეცხვისას, ჩასატვირთი კარის მინა გაცხელდება. ამ ფაქტის გათვალისწინებით, რეცხვის დროს მოაშორეთ ბავშვები მანქანის ჩასატვირთ კარს, რათა არ შეეხოთ.</p>
---	---

2.1 ელექტრონული ნარჩენების შესახებ (WEEE) დერექტივის შესაბამისობა



ეს პროდუქტი შეესაბამება დერექტივას ელექტრონული ნარჩენების შესახებ (2012/19/EU). ამ პროდუქტს აქვს ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების (WEEE) სიმბოლო.

ეს პროდუქტი წარმოებულია მაღალი ხარისხის ნაწილებისგან და მასალებისგან და შეიძლება იყოს გამოყენებული ხელმეორედ და ექვემდებარება გადამუშავებას. არ განათავსოთ გადასაცემი პროდუქტი საყოფაცხოვრებო ან სხვა ნაგავთან. წაიღეთ ის ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შეგროვების ცენტრში გადამუშავებისთვის. ასეთი შეგროვების ცენტრების შესახებ ინფორმაცია გაიგეთ ხელისუფლების ორგანოებისგან.

მავენე ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის (RoHS) დირექტივასთან შესაბამისობა: პროდუქტი, რომელიც თქვენ შეიძინეთ შეესაბამება მავენე ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის (RoHS) დირექტივას (2011/65/EU). ის არ შეიცავს მავენე და აკრძალულ მასალებს, რომლებიც მითითებულია დირექტივაში.

2.2 ინფორმაცია შესაფუთი მასალების შესახებ

მანქანის შესაფუთი მასალები დამზადებულია ხელახლა დამუშავებადი მასალის განგარემოს ეროვნული დებულებების შესაბამისად. არ გადაყაროთ შესაფუთი მასალები ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ან სხვა ნაგავთან ერთად. წაიღეთ შესაფუთი მასალები სპეციალურ ადგილას, რომელიც მოწყობილია ხელისუფლების ორგანოების მიერ.

- ეს პროდუქტი შექმნილია საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის. ის არ არის შექმნილი კომერციული გამოყენებისთვის და მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ დაგეგმილი მიზნებისთვის.
- პროდუქტი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ისეთი სარეცხის რეცხვისა და გავლებისთვის, რომელთაც შესაბამისი ნიშანი აქვთ.
- მწარმოებელი თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას, რომელიც არასწორი მოხმარებისა ან ტრანსპორტირების შედეგად წარმოიშობა.
- სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 10 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში, ორიგინალური სათადარიგო ნაწილები სავარაუდოდ იმუშავებს გამართულად.

კომისიის დელეგირებულ რეგლამენტთან (ევროკავშირი) შესაბამისი # 1061/2010

მიმწოდებლის სახელი ან სავაჭრო ნიშანი	Beko
მოდელის სახელი	WTE 5512 B0
დადგენილი ტევადობა (კგ)	5
ენერგეტიკული ეფექტურობის კლასი / სკალა A-დან +++ (ყველაზე მაღალეფექტური) D-მდე (ყველაზე ნაკლებეფექტური)	A++
ელექტროენერჯის ყოველწლიური მოხმარება (კვ/სთ) ⁽¹⁾	148
ელექტროენერჯის მოხმარება სტანდარტულ 60°C-იან ბამბის ქსოვილის პროგრამაზე სრული დატვირთვით მუშაობისას (კვ/სთ)	0,705
ელექტროენერჯის მოხმარება სტანდარტულ 60°C-იან ბამბის ქსოვილის პროგრამაზე ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობისას (კვ/სთ)	0,690
ელექტროენერჯის მოხმარება სტანდარტულ 40°C-იან ბამბის ქსოვილის პროგრამაზე ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობისას (კვ/სთ)	0,520
ელექტროენერჯის მოხმარება გამორთულ მდგომარეობაში (ვტ)	0,250
ელექტროენერჯის მოხმარება ჩართულ მდგომარეობაში დატოვების შემთხვევაში (ვტ)	1,000
წყლის ყოველწლიური მოხმარება (ლ) ⁽²⁾	7699
ბრუნვით გაშრობის შესაძლებლობის კლასი / სკალა A-დან (ყველაზე მაღალეფექტური) G-მდე (ყველაზე ნაკლებეფექტური)	C
ბრუნვის მაქსიმალური სიჩქარე (ბრუნვ./წუთში)	1000
დარჩენილი ტენის შემცველობა (%)	62
ბამბის ქსოვილის სტანდარტული პროგრამა ⁽³⁾	ბამბა, ეკოლოგიურად სუფთა, 60°C და 40°C
პროგრამული დრო სტანდარტულ 60°C-იან ბამბის ქსოვილის პროგრამაზე სრული დატვირთვით მუშაობისას (წთ)	185
პროგრამული დრო სტანდარტულ 60°C-იან ბამბის ქსოვილის პროგრამაზე ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობისას (წთ)	160
პროგრამული დრო სტანდარტულ 40°C-იან ბამბის ქსოვილის პროგრამაზე ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობისას (წთ)	150
ჩართულ მდგომარეობაში დატოვების ხანგრძლივობა (წთ)	N/A
ჰაერში გამოყოფილი აკუსტიკური ხმაური რეცხვისას/ბრუნვისას (დბ)	60/77
ჩამონტაჟებული	No
სიმაღლე (სმ)	84
სიგანე (სმ)	60
სიღრმე (სმ)	44
სუფთა წონა (±4 კგ)	55
წყლის ერთმაგი შემვება / წყლის ორმაგი შემვება	• / -
• ხელმისაწვდომი	
ელექტროენერჯის მოხმარება (V/Hz)	230 V / 50Hz
მთლიანი დენი (A)	10
მთლიანი ელექტროენერჯია (W)	1550
მთავარი მოდელის კოდი	9213

⁽¹⁾ ელექტროენერჯის მოხმარება 220 სტანდარტულ რეცხვის ციკლზე დაყრდნობით, ბამბის ქსოვილის პროგრამებისთვის, 60°C-სა და 40°C-ზე, სრული და ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობისას, და მოხმარება დაბალი სიმძლავრის მოდელზე. ელექტროენერჯის ეფექტური მოხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენება მოწყობილობა.

⁽²⁾ წყლის მოხმარება 220 სტანდარტულ რეცხვის ციკლზე დაყრდნობით, ბამბის ქსოვილის პროგრამებისთვის, 60°C-სა და 40°C-ზე, სრული და ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობისას. წყლის ეფექტური მოხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენება მოწყობილობა.

⁽³⁾ „სტანდარტული 60°C ბამბის ქსოვილის პროგრამა“ და „სტანდარტული 40°C ბამბის ქსოვილის პროგრამა“ წარმოადგენს რეცხვის სტანდარტულ პროგრამებს, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია უტიკეტსა და მიკროვიმაზე; ეს პროგრამები გამოსადეგია ნორმალურად დასვრილი ბამბის ქსოვილის სარეცხისთვის და ისინი წარმოადგენენ ყველაზე ეფექტურ პროგრამებს ელექტროენერჯისა და წყლის კომბინირებული მოხმარების გათვალისწინებით.

ტექნიკური სპეციფიკაციების შეცვლა შეიძლება მოხდეს წინასწარი შეტყობინების გარეშე, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

4.1 ინსტალაცია

- მიმართეთ უახლოეს ლეგალიზებულ მომსახურების აგენტს თქვენი მანქანის ინსტალაციისთვის.
- მომხმარებელი პასუხისმგებელი ადგილმდებარეობის მომზადებასა და ელექტროენერჯის, ონკანის წყლისა და კანალიზაციის მონტაჟზე, მანქანის დამონტაჟების ადგილზე.
- დარწმუნდით, რომ წყლის შეშვებისა და გამოშვების შლანგები, ასევე, ელექტროენერჯის კაბელი არ არის მოკეცილი, ჩაჭედილი ან დასრესილი, პროდუქტის თავის ადგილზე მოთავსებისას, მონტაჟის ან გასუფთავების პროცედურების შემდეგ.
- დარწმუნდით, რომ პროდუქტის ინსტალაციას და ელექტროენერჯის წყაროსთან დაკავშირებას ახორციელებს ლეგალიზებული მომსახურების აგენტი. მწარმოებელი არ იქნება პასუხისმგებელი არალეგალიზებული პირის მიერ შესრულებული პროცედურების გამო წარმოქმნილ დაზიანებებზე.
- დამონტაჟებამდე, ვიზუალურად შეამოწმეთ, პროდუქტს ხომ არ აქვს რაიმე დეფექტი. თუ ასეა, ნუ დამონტაჟებთ. დაზიანებული პროდუქტი თქვენს უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს.

4.1.1 მონტაჟისთვის შესაბამისი ადგილმდებარეობა

- მოათავსეთ პროდუქტი მაგარ და სწორ იატაკზე. არ მოათავსოთ პროდუქტი ხალიჩით დაფარულ იატაკზე ან მსგავს ზედაპირებზე.
- როცა სარეც მანქანას და საშრობს ერთმანეთის თავზე მოათავსებთ, მათი საერთო წონა, მთლიანი ტვირთით, დაახლოებით, 180 კგ-ს აღწევს. მოათავსეთ პროდუქტი მყარ და ბრტყელ იატაკზე, რომელსაც შესაბამისი ტვირთამწეობა აქვს!
- არ მოათავსოთ პროდუქტი ელექტროენერჯის კაბელზე.
- არ დამონტაჟოთ პროდუქტი ისეთ გარემოში, სადაც ტემპერატურა შეიძლება 0°C-ს ქვემოთ დაეცეს.
- დატოვეთ მინიმალური მანძილი 1 სმ მანქანასა და ავეჯს შორის.
- მრავალდონიან იატაკზე არ განათავსოთ პროდუქტი კიდეებში ან პლატფორმაზე.
- არ განათავსოთ სითბოს წყაროები, როგორცაა ქურები, უთოები, ღუმელები და ა.შ. სარეც მანქანაზე და არ იყენით ისინი ზედ პროდუქტზე.


4.1.2 შეფუთვის სამაგრების მოხსნა



მანქანა უკან გადახარეთ, შეფუთვის სამაგრების მოხსნისნელად. გამოქაჩეთ თასმას და მოხსენით შეფუთვის სამაგრები. არ შეასრულოთ ეს მოქმედება მარტო.

4.1.3 ტრანსპორტირების საკეტების მოხსნა


- 1 მოუშვით ყველა ჭანჭიკი შესაბამისი ქანჩით სანამ ისინი თავისუფლად არ დატრიალდება.
- 2 მოხსენით ტრანსპორტის უსაფრთხოების ჭანჭიკები, ფრთხილად გადატრიალებით.
- 3 უკანა პანელის ხვრელებზე მიამაგრეთ პლასტმასის საფარები, რომელზეც მომხმარებლის სახელმძღვანელოს ჩანთაშია მოთავსებული.



	გაფრთხილება: მოხსენით ტრანსპორტირების უსაფრთხოების ჭანჭიკები სარეცხი მანქანის ამუშავებამდე! წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქტი დაზიანდება.
	შეინახეთ ტრანსპორტირების უსაფრთხოების ჭანჭიკები დაცულ ადგილას, ხელახლა გამოსაყენებლად, როცა, მომავალში, სარეცხი მანქანის კვლავ გადატანა დაგჭირდებათ.
	დაამაგრეთ ტრანსპორტის უსაფრთხოების ჭანჭიკები, მათი მოხსნის პროცედურის შესაბამისად.
	არ გადაიტანოთ პროდუქტი ტრანსპორტირების უსაფრთხოების ჭანჭიკების სათანადოდ მიმაგრების გარეშე!

4.1.4 წყალმომარაგების შეერთება

	პროდუქტის ასამუშავებლად საჭირო წყალმომარაგების წნევა 1-დან 10 ბარამდე მერყეობს (0.1 – 1 მპა). საჭიროა, ბოლომდე მოშვებული ონკანიდან, მოედინებოდეს 10-80 ლიტრი წყალი წუთში, რათა თქვენმა მანქანამ თავისუფლად იმუშაოს. მიამაგრეთ წნევის დამწევი სარქველი, თუ წყლის წნევა უფრო მაღალია.
	გაფრთხილება: მოდელები წყლის ერთი შემწვებით ცხელი წყლის ონკანს არ უნდა შეუერთდეს. ასეთ შემთხვევაში, სარეცხი დაზიანდება ან პროდუქტი დაცვის რეჟიმში გადაირთვება და აღარ იმუშავებს.
	გაფრთხილება: არ გამოიყენოთ ძველი ან ნახშიარი წყლის შემწვები შლანგები, ახალ პროდუქტზე. ამან შეიძლება სარეცხის დალაცავება გამოიწვიოს.




- 1 მოუჭრეთ შლანგის ქანჩებს ხელით. შემაერთებელი ქანჩის მოჭერისას, არ გამოიყენოთ ინსტრუმენტი.
- 2 როდესაც შლანგის შეერთებას დაასრულებთ, შეამოწმეთ არის თუ არა გაჟონვა შეერთების ადგილებში სრულად გახსნილი ონკანებით. გაჟონვის შემთხვევაში, ონკანი დაკეტეთ და ქანჩი მოხსენით. ხელშეორედ, ფრთხილად გამოქაჩეთ ქანჩი, ლუქის შემოწმების შემდეგ. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ წყლის გაჟონვა და ამის შედეგად მიყენებული ზიანი, დატოვეთ ონკანები დახიზრულ მდგომარეობაში, როდესაც თქვენ არ იყენებთ მანქანას.

4.1.5 დრენაჟის შლანგის შეერთება დრენაჟთან

- დრენაჟის შლანგის ბოლო პირდაპირ კანალიზაციის დრენაჟის მილს, უნიტაზს ან აბაზანას უნდა შეერთდეს.



გაფრთხილება: თქვენი სახლი დაიტბორება, თუ შლანგი გარსიდან გამოძვრება, წყლის გამოდევნის დროს. გარდა ამისა, არსებობს დაწვის რისკიც, რეცხვის მაღალი ტემპერატურის გამო! ასეთი სიტუაციაციების თავიდან აცილების მიზნით, დარწმუნდით, რომ მანქანა ასრულებს წყალაღების და წყლის ჩაშვების პროცესებს უპრობლემოდ, დამაგრეთ დრენაჟის შლანგი უსაფრთხოდ.



- დამაგრეთ დრენაჟის შლანგი მინიმუმ 40 სმ სიმაღლეზე და მაქსიმუმ 100 სმ სიმაღლეზე.
- იმ შემთხვევაში, თუ მოხდება დრენაჟის შლანგის აწევა, მისი იატაკის დონეზე ან მიწასთან ახლოს (მიწიდან 40 სმ-ზე უფრო ნაკლებ სიმაღლეზე) დების შემდეგ, წყლის გამოდევნა უფრო გართულდება და შეიძლება, სარეცხი ძალიან სველ მდგომარეობაში გამოვიდეს. ამიტომ, იხელმძღვანელეთ შესაფერისი სიმაღლისთვის მოცემული ციფრებით.

- ჭუჭყიანი წყლის მანქანაში შებრუნების თავიდან ასაცილებლად და წყლის ადვილად გამოდევნისთვის, არ ჩაყოთ შლანგის ბოლო ჭუჭყიან წყალში ან არ მოათავსოთ ის დრენაჟის მილში, 15 სანტიმეტრზე მეტი სიგრძით. თუ ის ძალიან გრძელია, გადაჭერით.
- შლანგის ბოლო არ უნდა იყოს მოხრილი, მას ფეხი არ უნდა დააბიჯოთ და შლანგი არ უნდა მოყვეს დრენაჟის მილს და მანქანას შორის.
- თუ შლანგის სიგრძე მეტისმეტად მოკლეა, გამოიყენეთ ის ორიგინალი დამაგრებელი შლანგის დამატებით. შლანგის სიგრძე არ შეიძლება 3.2 მ-ს აღემატებოდეს. წყლის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად, დამაგრებელი შლანგი დრენაჟის შლანგთან სათანადოდ უნდა იყოს შეერთებული, შესაბამისი სამაგრით, რათა არ მოძვრეს და წყალმა არ გამოჟონოს.


4.1.6 ფეხების რეგულირება



გაფრთხილება: იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროდუქტმა უფრო ჩუმად და ვიზრაციის გარეშე იმუშაოს, ის სწორად და გაწონასწორებულად უნდა იდგეს თავის ფეხებზე. გაწონასწორეთ მანქანა, ფეხების რეგულირების საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქტი შეიძლება ადგილიდან დაიძრას და მსხვერვისა და ვიზრაციის პრობლემები გამოიწვიოს.

გაფრთხილება: არ გამოიყენოთ არავითარი იარაღი, ჩამკეტი ქანჩების მოსაშვებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაზიანდება.

- 1 ფეხებზე, ჩამკეტი ქანჩები ხელით მოუშვით.
- 2 დაარეგულირეთ ფეხები, სანამ მანქანა სწორად და გაწონასწორებულად არ დადგება.
- 3 ყველა ჩამკეტი ქანჩი კვლავ ხელით მოუჭირეთ.



4.1.7 ელექტროენერჯის წყაროსთან შეერთება

შეერთეთ მანქანა დამიწებულ როზეტთან, რომელიც დაცულია 16 მცველით. ჩვენი კომპანია პასუხს არ აგებს რაიმე ზიანზე, რომელიც წარმოიშობა, როცა პროდუქტი გამოიყენება დამიწების გარეშე, ადგილობრივი დებულებების თანახმად.

- შეერთება უნდა მოხდეს ეროვნული დებულებების შესაბამისად.
- ელექტრული ქსელის გაყვანილობა უნდა იყოს საკმარისი მოწყობილობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. რეკომენდირებულია დამიწების მოკლე ჩართვის გამომრთველის გამოყენება.
- ელექტროენერჯის კაბელის შტეკსელი უნდა იყოს ადვილად მისაწვდომ ადგილზე, დამონტჟების შემდეგ.
- თუ სახლში დნობადი მცველისა და ამომრთველის დამცველის მონაცემები 16 ამპერზე ნაკლებია, კვალიფიციურ ელექტრიკოსს 16 ამპერიანი დნობადი მცველი დააყენებინეთ.
- "ტექნიკურ პირობებში" მითითებული ძაბვა თქვენს ქსელის როზეტის ძაბვას უნდა უტოლდებოდეს.
- არ მოახდინოთ შეერთება დამაგრებლებლით ან მრავალჩამრთველიანი შტეკსელით.



გაფრთხილება: დაზიანებული მაღალი ძაბვის კაბელები ლეგალიზებული მომსახურების აგენტმა უნდა გამოცვალოს.

4.1.8 პირველადი გამოყენება



სანამ პროდუქტის გამოყენებას დაიწყებთ, დარწმუნდით, რომ ყველა მომზადება შესრულებულია "უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუქციებისა" და "მონტაჟის" ნაწილის ინსტრუქციების შესაბამისად.

იმისათვის, რომ პროდუქტი სარეცხის გასარეცხად მოამზადოთ, შეასრულეთ პირველი ოპერაცია ცილინდრის გასუფთავების პროგრამაში. ეს პროგრამა არ არის ხელმისაწვდომი თქვენს მანქანაში, გამოიყენეთ მეთოდი, რომელიც აღწერილი ნაწილში 4.4.2.



გამოიყენეთ სარეცხი მანქანისთვის შესაფერისი მინადლის საწინააღმდეგო საშუალება.

მანქანაში შეიძლება წყალი დარჩენილი იყოს პროდუქტის ხარისხის კონტროლის პროცესის გამო. ეს მანქანისთვის საზიანო არ არის.

4.2 მომზადება

4.2.1 სარეცხის დახარისხება

- * დაახარისხეთ სარეცხი ქსოვილის ტიპის, ფერისა და დაბინძურების ხარისხის, ასევე, წყლის დასაშვები ტემპერატურის შესაბამისად.
- * ყოველთვის ისარგებლეთ ტანსაცმლის იარლიყზე მითითებული ინსტრუქციით.

4.2.2 სარეცხის მომზადება რეცხვისთვის

- სარეცხი ლითონის დეტალებით, როგორცაა, ბიუჯალტერები, ქამრის ბალები თუ ლითონის დილები, მანქანას აზიანებს. მოხსენით ლითონის დეტალები ან ტანსაცმელი სარეცხის ჩანთაში ან ბალიშის პირში ჩადებული გარეცხეთ.
- ჯიბებიდან ამოიღეთ ისეთი ნივთები, როგორცაა მონეტები, კალმები და ქაღალდის სამაგრები, ჯიბეები გადმოაბრუნეთ და ჯაგრისით გაწმინდეთ. ასეთმა საგნებმა შეიძლება დააზიანოს პროდუქტი, ან გამოიწვიოს ხმაური.
- პატარა ზომის ტანსაცმელი, როგორცაა, ბავშვის ან ნეილონის წინდები, სარეცხის ჩანთაში ან ბალიშის პირში ჩადებული გარეცხეთ.
- მოათავსეთ ფარდები მანქანაში, შეკუმშვის გარეშე. მოხსენით ფარდის სამაგრები.
- შეკარით ელვა-შესაკრავები, მიაკერეთ მოშვებული დილები და შეაკეთეთ გარღვეული და გახეული ადგილები.
- პროდუქტი, რომელსაც აქვს იარლიყი, "მანქანით რეცხვისთვის" ან "ხელით რეცხვისთვის," გარეცხეთ მხოლოდ შესაბამისი პროგრამით.
- არ გარეცხოთ ფერადი და თეთრი ქსოვილი ერთად. ახალი, მუქი ფერის ბამბის ქსოვილი ბევრ საღებავს გამოყოფს. ისინი ცალკე გარეცხეთ.
- ღრმად ჩაძვადარ ლაქებს, რეცხვამდე, სათანადო ზომების მიღება სჭირდება. თუ დარწმუნებული არ ხართ, სცადეთ ქიმიკანის საშუალებით.
- ყოველთვის გამოიყენეთ მხოლოდ მანქანის რეცხვისთვის შესაფერისი საღებავის/ფერის შემცველები და მინადულის მოსაშორებლები. ყოველთვის ისარგებლეთ შეფუთვაზე მითითებული ინსტრუქციით.
- შარვლები და დელიკატური ქსოვილები უკუღმა გადმოაბრუნებული გარეცხეთ.
- ანგორის შალისგან დამზადებული გასარეცხი ნივთები, გარეცხვამდე, გასაყინ კამერაში მოათავსეთ. ეს ბეწვის გაცვენას შეამცირებს.
- სარეცხი, რომელიც დასვრილია ისეთი ნივთიერებებით, როგორცაა, ფეკილი, კირის მტვერი, რძის ფხვნილი და ა. შ., ძლიერად უნდა დაფერხოსო, სანამ მანქანაში მოათავსებთ. ასეთი მტვერი თუ ფხვნილი, სარეცხიდან, დროთა განმავლობაში, შეიძლება მანქანის შიდა ნაწილებში ჩაჯდეს და მისი დაზიანება გამოიწვიოს.

4.2.3 რა უნდა გაკეთდეს ელექტროენერჯის დასაზოგად

შემდეგი ინფორმაცია დაგეხმარებათ, გამოიყენოთ პროდუქტი ეკოლოგიურად და ელექტროენერჯის დაზოგვით.

- ამუშავეთ პროდუქტი უმაღლესი სიმძლავრით, რის საშუალებასაც თქვენ მიერ არჩეული პროგრამა იძლევა, მაგრამ არ გადააჭარბოთ; იხილეთ "პროგრამისა და გამოყენების ტაბულა". იხილეთ "პროგრამისა და გამოყენების ტაბულა"
- ყოველთვის ისარგებლეთ სარეცხი საშუალების შეფუთვაზე მითითებული ინსტრუქციით.
- მსუბუქად დასვრილი სარეცხი დაბალ ტემპერატურაზე გარეცხეთ.
- გამოიყენეთ უფრო სწრაფი პროგრამები მცირე ოდენობით მსუბუქად დასვრილი სარეცხის გასარეცხად.
- არ გამოიყენოთ წინასწარი რეცხვა და მაღალი ტემპერატურა, ისეთი სარეცხისთვის, რომელიც არ არის ძალიან დასვრილი ან დალაქავებული.
- თუ თქვენი სარეცხის საშრობში გაშრობას გეგმავთ, აირჩიეთ ბრუნვის ყველაზე მაღალი სიჩქარე, რომელიც რეკომენდებულია რეცხვის პროცესში.
- არ გამოიყენოთ სარეცხი საშუალება რეკომენდებულზე მეტი რაოდენობით ვიდრე შეფუთვაზეა მითითებული.

4.2.4 სარეცხის მოთავსება

1. გახსენით სარეცხის თავსახური.
2. ჩადეთ გასარეცხი ნივთები მანქანაში თავისუფალად.
3. დააჭირეთ და ჩაკეტეთ ჩასატვირთი კარი სანამ არ გაიგებთ ჩაკეტვის ხმას. დარწმუნდით, რომ კარში რომელიმე ნივთი არ მოყოლილა. ჩასატვირთი კარი დაკეტილია, როცა პროგრამა მუშაობს. კარის გაღება შესაძლებელია პროგრამის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

4.2.5 ტვირთის სწორი მოცულობა

ტვირთის მაქსიმალური მოცულობა დამოკიდებულია სარეცხის ტიპზე, დაბინძურების ხარისხსა და რეცხვის სასურველ პროგრამაზე. მანქანა ავტომატურად არეგულირებს წყლის რაოდენობას, მასში ჩატვირთული სარეცხის წონის შესაბამისად.




გაფრთხილება: ისარგებლეთ "პროგრამისა და მოხმარების ტაბულაში" მოცემული ინფორმაციით. ზედმეტი ტვირთის შემთხვევაში, მანქანის რეცხვის ეფექტურობა ეცემა. გარდა ამისა, შეიძლება წარმოიშვას ხმაურისა და ვიბრაციის პრობლემები.

4.2.6 სარეცხი საშუალებისა და ქსოვილის დამარბილებლის გამოყენება



როცა იყენებთ სარეცხ საშუალებას, დამარბილებელს, სახამებელს, ქსოვილის საღებავს, მათერებელს და გამაუფრებელს, მინადულის მოსაშორებელს; ყოველთვის ყურადღებით წაიკითხეთ სარეცხი საშუალების შეფუთვაზე მითითებული მწარმოებლის ინსტრუქცია და ისარგებლეთ დოზების მარკენებლებით. შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ საზომი ფინჯანი.



სარეცხი საშუალების უჯრა სამი განყოფილებისგან შედგება:

- (1) წინასწარი რეცხვისთვის
- (2) მთავარი რეცხვისთვის
- (3) დამარბილებლისთვის
- (⊗) გარდა ამისა, დამარბილებლის განყოფილებაში არის სიფონის ნაწილი.

სარეცხი საშუალება, დამარბილებელი და სხვა გასასუფთავებელი ნივთიერება

- დაუმატეთ სარეცხი საშუალება და დამარბილებელი, რეცხვის პროგრამის ჩართვამდე.
 - სარეცხი ციკლის მიმდინარეობისას არ დატოვოთ გახსნილი სარეცხი საშუალების გამანაწილებელი!
 - როცა პროგრამას წინასწარი რეცხვის გარეშე იყენებთ, არ ჩაყაროთ სარეცხი საშუალება წინასწარი რეცხვის განყოფილებაში (განყოფილება ნომერი „1“).
 - პროგრამაში წინასწარი რეცხვით, არ ჩასახათ თხევადი სარეცხი საშუალება წინასწარი რეცხვის განყოფილებაში (განყოფილება ნომერი „1“).
 - არ აირჩიოთ პროგრამა წინასწარი რეცხვით, თუ იყენებთ სარეცხი საშუალების ჩანთას ან გამანაწილებელ ბუმშს. მოათავსეთ სარეცხი საშუალების ჩანთა ან გამანაწილებელი ბუმში პირდაპირ სარეცხს შორის, მანქანაში.
- თუ თხევად სარეცხ საშუალებას იყენებთ, არ დაგვიჩყდეთ, მოათავსოთ თხევადი სარეცხი საშუალების კონტეინერი მთავარი რეცხვის განყოფილებაში (განყოფილება ნომერი "2").

სარეცხი საშუალების ტიპის არჩევა

გამოსაყენებელი სარეცხის საშუალების ტიპი დამოკიდებულია ქსოვილის ტიპსა და ფერზე.

- გამოიყენეთ სხვადასხვა სარეცხი საშუალება ფერადი და თეთრი სარეცხისთვის.
- გარეცხეთ დელიკატური ტანსაცმელი მხოლოდ სპეციალური სარეცხი საშუალებით (თხევადი სარეცხი საშუალება, შალის ქსოვილის შამპუნი და ა. შ.), რომელიც მხოლოდ დელიკატური ქსოვილისთვის გამოიყენება.
- მუქი ფერის ტანსაცმლის ან ჭრელი საბნების რეცხვისას, რეკომენდებულია თხევადი სარეცხი საშუალების გამოყენება.
- შალის ქსოვილი გარეცხეთ სპეციალურად შალის ქსოვილისთვის შექმნილი სარეცხი საშუალებით.



გაფრთხილება: გამოიყენეთ მხოლოდ სპეციალურად სარეცხი მანქანისთვის დამზადებული სარეცხი საშუალება.

გაფრთხილება: არ გამოიყენოთ საპნის ფხვნილი.

სარეცხი საშუალების რაოდენობის რეგულირება

გამოსაყენებელი სარეცხი საშუალების რაოდენობა დამოკიდებულია სარეცხის რაოდენობაზე, დაბინძურების ხარისხსა და წყლის სიხისტეზე.

- არ გამოიყენოთ სარეცხი საშუალება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მითითებულია სარეცხი საშუალების შეფუთვაზე, რათა თავიდან აიცილოთ ზედმეტი ქაფის, არასაკმარისი გავლების, ფინანსური დაზოგვისა და, ზოლოს, გარემოს დაცვის პრობლემები.
- გამოიყენეთ უფრო ნაკლები სარეცხი საშუალება მცირე ოდენობით ან მსუბუქად დასვრილი ტანსაცმლისთვის.


დამარბილებლების გამოყენება

ჩაასხით დამარბილებელი სარეცხი საშუალების უჯრის დამარბილებლის განყოფილებაში.

- არ გადააჭარბოთ დამარბილებლის განყოფილებაში მონიშნულ (>მაქს<) დონეს.
- თუ დამარბილებელს თხევადობა დაკარგული აქვს, სარეცხი საშუალების უჯრაში ჩასხმამდე, ის წყალში გააზავეთ.

თხევადი სარეცხი საშუალებების გამოყენება

თუ პროდუქტს აქვს თხევადი სარეცხი საშუალების ფინჯანი:



- მოათავსეთ თხევადი სარეცხი საშუალების კონტეინერი განყოფილებაში ნომერი "2".
- თუ თხევად სარეცხ საშუალებას თხევადობა დაკარგული აქვს, სარეცხი საშუალების კონტეინერში ჩასხმამდე, ის წყალში გააზავეთ.

თუ პროდუქტს არა აქვს თხევადი სარეცხი საშუალების ფინჯანი:

- პროგრამაში წინასწარი რეცხვით, არ გამოიყენოთ თხევადი სარეცხი საშუალება, წინასწარი რეცხვისთვის.
- თხევადი სარეცხი საშუალებები ალაქავებს თქვენს ტანსაცმელს შეყოვნებული დაწყების ფუნქციის გამოყენებისას. თუ შეყოვნებული დაწყების ფუნქციის არჩევას აპირებთ, არ გამოიყენოთ თხევადი სარეცხი საშუალება.

სარეცხი საშუალების გელისა და ტაბლეტების გამოყენება

- თუ სარეცხი გელის სისქე სითხისებრია და თქვენს მანქანას არა აქვს სპეციალური თხევადი სარეცხი საშუალების ფინჯანი, ჩაასხით სარეცხი გელი მთავარი რეცხვის სარეცხი საშუალების განყოფილებაში, წყლის პირველი შეშვების განმავლობაში. თუ თქვენს მანქანას აქვს თხევადი სარეცხი საშუალების ფინჯანი, ჩაასხით სარეცხი საშუალება ამ ფინჯანში, პროგრამის დაწყებამდე.
- თუ სარეცხი გელის სისქე სითხისებრი არ არის ან მას აქვს თხევადი კავსულების ფორმა, ის პირდაპირ ცილინდრში მოათავსეთ, რეცხვის დაწყებამდე.
- მოათავსეთ სარეცხი საშუალების ტაბლეტები მთავარი რეცხვის განყოფილებაში (განყოფილება ნომერი "2") ან პირდაპირ ცილინდრში, რეცხვის დაწყებამდე.

სახამებლის გამოყენება

- მოათავსეთ თხევადი სოდა, სოდის ფხვნილი ან ქსოვილის საღებავი დამარბილებლის კონტეინერში.
არ გამოიყენოთ დამარბილებელი და სახამებელი ერთად, რეცხვის ციკლის დროს.
სახამებლის გამოყენების შემდეგ, მანქანის შიდა ნაწილი სველი და სუფთა ქსოვილით გაწმინდეთ.

მინადულის მოსაშორებლის გამოყენება

- როცა საჭიროა, გამოიყენეთ მინადულის მოსაშორებელი, რომელიც მხოლოდ სპეციალურად სარეცხი მანქანისთვისაა დამზადებული.

მათეთრების გამოყენება

- დაამატეთ მათეთრებელი ნივთიერება, რეცხვის დასაწყისში, როცა ირჩევთ პროგრამას წინასწარი რეცხვით. არ მოათავსოთ სარეცხი საშუალება წინასწარი რეცხვისთვის განსაზღვრულ განყოფილებაში. როგორც დამატებითი გამოყენება, აირჩიეთ პროგრამა დამატებითი გავლებით და დაამატეთ მათეთრებელი ნივთიერება, სანამ მანქანა წყალს იღებს, სარეცხი საშუალების განყოფილებიდან, გავლების პირველ საფეხურზე.
- ნუ გამოიყენებთ მათეთრებელ ნივთიერებასა და სარეცხ საშუალებას, ერთმანეთში შერევით.
- გამოიყენეთ მცირე რაოდენობით (დაახლ. 50 მლ) მათეთრებელი ნივთიერება და კარგად გაავლეთ ტანსაცმელი, რადგან ის კანის გაღიზიანებას იწვევს. არ დაასხათ მათეთრებელი ნივთიერება სარეცხს და არ გამოიყენოთ ის ფერადი ნივთებისთვის.
- როცა იყენებთ გამაუფერულებელს ჟანგბადის დაფუძნებულზე, აირჩიეთ პროგრამა, რომელიც რეცხავს სარეცხს დაბალ ტემპერატურაზე.
- ჟანგბადის დაფუძნებულზე გამაუფერულებლის გამოყენება შეიძლება სარეცხ საშუალებასთან ერთად; თუმცა, თუ ის არ არის ერთი კონსისტენციის, ჯერ მოათავსეთ სარეცხი საშუალება განყოფილებაში ნომერი "2" სარეცხი საშუალების გამანაწილებელში და დაელოდეთ სანამ მანქანა ჩამორეცხავს სარეცხ საშუალებას წყლის აღების დროს. სანამ მანქანა წყალს შიგნით უშვებს, დაამატეთ გამაუფერულებელი იმავე განყოფილებაში.


4.2.7 მინიშნებები ევექტური რეგვისისთვის

ტანსაცმელი			
ღია ფერის და თეთრი სარეცხი	ფერადი	შავი/მუქი ფერის	დელიკატური/ შალის/აბრეშუმის ქსოვილი
(რეკომენდებული ტემპერატურის დიაპაზონი დამოკიდებულია დაბინძურების დონეზე: 40-90 °C)	(რეკომენდებული ტემპერატურის დიაპაზონი დამოკიდებულია დაბინძურების დონეზე: ცივი -40 °C)	(რეკომენდებული ტემპერატურის დიაპაზონი დამოკიდებულია დაბინძურების დონეზე: ცივი -40 °C)	(რეკომენდებული ტემპერატურის დიაპაზონი დამოკიდებულია დაბინძურების დონეზე: ცივი -30 °C)

დაბინძურების დონე	პალიან ჭუჭყიანი	ზომიერად ჭუჭყიანი	მსუბუქად დასვრილი	
	(მწვლად ამოსაყვანი ლაქები, როგორცაა ბალახი, ყავა, ხილი და სისხლი.)	(მაგალითად, სხეულის ლაქები საყვლოსა და მანქეტებზე)	(აშკარა ლაქების გარეშე.)	
	<p>შეიძლება საჭირო იყოს ლაქების წინასწარი დამუშავება ან წინასწარი რეცხვის შესრულება. თეთრი სარეცხისთვის რეკომენდებული ფხვნილები და თხევადი სარეცხი საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას მალიან დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით. რეკომენდებულია სარეცხი ფხვნილების გამოყენება თიხისა და მიწის ლაქების და ასევე, ისეთი ლაქების ამოსაყვანად, რომლებიც მგრძობიარეა მათეთრებლების მიმართ.</p>	<p>ფერადი სარეცხისთვის რეკომენდებული ფხვნილები და თხევადი სარეცხი საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას მალიან დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით. რეკომენდებულია სარეცხი ფხვნილების გამოყენება თიხისა და მიწის ლაქების და ასევე, ისეთი ლაქების ამოსაყვანად, რომლებიც მგრძობიარეა მათეთრებლების მიმართ. გამოიყენეთ სარეცხი საშუალება მათეთრებლის გარეშე.</p>	<p>თხევადი სარეცხი საშუალებები, რომლებიც შესაფერისია ფერადი და მუქი ფერის ტანსაცმლისთვის, გამოყენებულ იქნას მალიან დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით.</p>	<p>უპირატესობა მიანიჭეთ დელიკატური ქსოვილისთვის დამზადებულ თხევად სარეცხ საშუალებებს. შალისა და აბრეშუმის ტანსაცმელი შალის სარეცხი სპეციალური საშუალებით უნდა გაირეცხოს.</p>
<p>თეთრი სარეცხისთვის რეკომენდებული ფხვნილები და თხევადი სარეცხი საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას ზომიერად დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით.</p>	<p>ფერადი სარეცხისთვის რეკომენდებული ფხვნილები და თხევადი სარეცხი საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას ზომიერად დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით. უნდა გამოიყენოთ სარეცხი საშუალებები, რომლებიც არ შეიცავს მათეთრებელს.</p>	<p>თხევადი სარეცხი საშუალებები, რომლებიც შესაფერისია ფერადი და მუქი ფერის ტანსაცმლისთვის, გამოყენებულ იქნას ზომიერად ჭუჭყიანი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით.</p>	<p>უპირატესობა მიანიჭეთ დელიკატური ქსოვილისთვის დამზადებულ თხევად სარეცხ საშუალებებს. შალისა და აბრეშუმის ტანსაცმელი შალის სარეცხი სპეციალური საშუალებით უნდა გაირეცხოს.</p>	
<p>თეთრი სარეცხისთვის რეკომენდებული ფხვნილები და თხევადი სარეცხი საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას მსუბუქად დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით.</p>	<p>ფერადი სარეცხისთვის რეკომენდებული ფხვნილები და თხევადი სარეცხი საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას მსუბუქად დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით. უნდა გამოიყენოთ სარეცხი საშუალებები, რომლებიც არ შეიცავს მათეთრებელს.</p>	<p>თხევადი სარეცხი საშუალებები, რომლებიც შესაფერისია ფერადი და მუქი ფერის ტანსაცმლისთვის, გამოყენებულ იქნას მსუბუქად დასვრილი ტანსაცმლისთვის რეკომენდებული დოზებით.</p>	<p>უპირატესობა მიანიჭეთ დელიკატური ქსოვილისთვის დამზადებულ თხევად სარეცხ საშუალებებს. შალისა და აბრეშუმის ტანსაცმელი შალის სარეცხი სპეციალური საშუალებით უნდა გაირეცხოს.</p>	


4.3 პროდუქტის ექსპლუატაცია

4.3.1 მართვის პულტი



- 1 - პროგრამის არჩევის ღილაკი (მოთავსებულია ყველაზე ზევით ჩართვა/გამორთვა)
- 2 - ეკრანი
- 3 - შეყოვნებული დაწყების ინდიკატორი
- 4 - პროგრამის შემდგომი შესრულების ინდიკატორი
- 5 - დაწყების/პაუზის ღილაკი

- 6 - დამატებითი ფუნქციების ღილაკი 3
- 7 - დამატებითი ფუნქციების ღილაკი 2
- 8 - დამატებითი ფუნქციების ღილაკი 1
- 9 - ბრუნვის სიჩქარის რეგულირების ღილაკი
- 10 - ტემპერატურის რეგულირების ღილაკი



4.3.2. მანქანის მომზადება

1. დარწმუნდით, რომ შლანგები მჭიდროდ არის შეერთებული.
2. ჩართეთ თქვენი მანქანა.
3. მთლიანად მოუშვით ონკანი.
4. მოათავსეთ სარეცხი მანქანაში.
5. დაუმატეთ სარეცხი საშუალება და ქსოვილის დამარბილებელი.

4.3.3 პროგრამის არჩევა და მინიშნებები ეფექტური რეცხვისთვის

1. აირჩიეთ სარეცხის ტიპის, რაოდენობისა და დაზინბურების ხარისხისთვის შესაფერისი პროგრამა, ქვემოთ მოცემული "პროგრამისა და გამოყენების ტაბულისა" და ტემპერატურის ტაბულის შესაბამისად.
2. აირჩიეთ სასურველი პროგრამა პროგრამის შერჩევის ღილაკით.

4.3.4 პროგრამისა და გამოყენების ტაბულა

KA	პროგრამა	მაქს. ტვირთი (კგ)	წყლის მოხმარება (l)	ელექტროენერგიის მოხმარება (კვ/სთ)	მაქს. სიჩქარე***	დამატებითი ფუნქციები			
						წინასწარი რეცხვა	სწრაფი+	დამატებითი გაკვლა	ტემპერატურის არჩევითი დიაპაზონი °C
Cottons	90	5	79	1,95	1000	•	•	•	ცივი-90
	60	5	79	1,45	1000	•	•	•	ცივი-90
	40	5	76	0,95	1000	•	•	•	ცივი-90
Cottons Eco	60**	5	40	0,705	1000				ცივი-60
	60**	2,5	31,5	0,690	1000				ცივი-60
	40**	2,5	31	0,520	1000				ცივი-60
Synthetics	60	2,5	62	1,15	1000	•	•	•	ცივი-60
	40	2,5	60	0,70	1000	•	•	•	ცივი-60
Daily Xpress / Xpress Super Short	90	5	60	1,80	1000		•	•	ცივი-90
	60	5	60	0,90	1000		•	•	ცივი-90
	30	5	58	0,20	1000		•	•	ცივი-90
Daily Xpress / Xpress Super Short + სწრაფი+	30	2	40	0,10	1000		•	•	ცივი-90
Mix 40	40	3	65	0,75	800	•	•		ცივი-40
Woollens / Hand Wash	40	1,5	45	0,40	1000			•	ცივი-40
GentleCare	30	2,5	48	0,65	1000			•	ცივი-40
Down Wear	60	1,5	70	1,10	1000			•	ცივი-60
Outdoor / Sports	40	2,5	44	0,45	1000	•			ცივი-40
Dark Care / Jeans	40	2	70	0,75	1000	•		*	ცივი-40
Lingerie	30	2,5	55	1,10	600			*	ცივი-30
Shirts	60	1	52	0,25	800	•	•	•	ცივი-60
Hygiene	90	5	99	2,05	1000			*	20-90
ცილინდრის გაწმენდა	90	-	68	2,00	600				90


*: არჩევითი

*: ავტომატურად არჩეული, გაუქმების გარეშე.

** : ენერგოეფექტურობის მარკირების პროგრამა (EN 60456 Ed.3)

***: თუ მანქანის ბრუნვის მაქსიმალური სიჩქარე ამ მონაცემზე უფრო დაბალია, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ მაქსიმუმამდე ბრუნვის სიჩქარე.

-: იხილეთ პროგრამის აღწერილობა მაქსიმალური წონისთვის.

****** ზამბა ეკონომიური 40°C და ზამბა ეკონომიური 60°C წარმოადგენს სტანდარტულ პროგრამებს. ეს პროგრამები ენობილია, როგორც '40°C ზამბის სტანდარტული პროგრამა' და '60°C ზამბის სტანდარტული პროგრამა', რომლებიც აღნიშნულია  სიმბოლოებით, პანელზე.

i წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარება შეიძლება შეიცვალოს წყლის წნევის, წყლის სიხისტისა და ტემპერატურის, გარეთა ტემპერატურის, საჩვენებლის ტიპისა და რაოდენობის, დამხმარე ფუნქციებისა და ბრუნვის სიჩქარის არჩევასა და ელექტროენერგიის მარბის მიხედვით.

პროგრამის არჩევისას თქვენ შეგიძლიათ, მანქანის ეკრანზე დაინახოთ რეცხვის დრო. თქვენ მიერ მანქანაში ჩატვირთული საჩვენებლის რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს 1-1,5 საათიანი სხვაობა ეკრანზე ნაჩვენებ დროსა და რეცხვის ციკლის ფაქტურ ხანგრძლივობას შორის. ხანგრძლივობა ავტომატურად განახლდება რეცხვის დაწყების შემდეგ.

დამხმარე ფუნქციები, ტაბულაში, შეიძლება თქვენი მანქანის მოდელის მიხედვით იცვლებოდეს.

სიდიდეები სინთეტიკის პროგრამებისთვის (KA)						
	ტვირთი (კგ)	წყლის მოხმარება (ლ)	ელექტროენერჯის მოხმარება (კვ/სთ)	პროგრამის ხანგრძლივობა (წთ)*	დარჩენილი ტენის შემცველობა (%)**	დარჩენილი ტენის შემცველობა (%)**
					≤ 1000 ზრუნი წუთში	> 1000 ზრუნი წუთში
სინთეტიკა 60	2,5	62	1,15	105/130	45	40
სინთეტიკა 40	2,5	60	0,70	105/130	45	40
*თქვენ შეგიძლიათ, მანქანის ეკრანზე დაინახოთ თქვენ მიერ არჩეული პროგრამის რეცხვის დრო. შესაძლებელია, რომ ეკრანზე ნაჩვენებ დროსა და რეცხვის რეალურ დროს შორის მცირე სხვაობა იყოს.						
**დარჩენილი ტენის შემცველობა შეიძლება განსხვავდებოდეს არჩეული ბრუნვის სიჩქარის შესაბამისად.						

4.3.5 ძირითადი პროგრამები

ქსოვილის ტიპიდან გამომდინარე, გამოიყენეთ შემდეგი ძირითადი პროგრამები.

• **Cottons (ბამბის ქსოვილი)**


ამ პროგრამით თქვენ შეგიძლიათ გარეცხოთ თქვენი ბამბის სარეცხი (ზეწარი, თეთრეული, პირსახოცები, საბანაო ხალათები, საცვლები და სხვა.) ხანგრძლივი რეცხვის რეჟიმში. როცა სწრაფი რეცხვის ფუნქციის ღილაკს დააჭერთ, პროგრამის ხანგრძლივობა შესამჩნევად შემცირდება, მაგრამ რეცხვის ეფექტურობა შენარჩუნდება რეცხვის ინტენიური მოძრაობების გამო. თუ სწრაფი რეცხვის ღილაკს არ დააჭერთ იქნება უზუნველყოფილი ძალიან ჭუჭყიანი სარეცხის რეცხვისა და გავლების საუკეთესო ხარისხი.

• **Synthetics (სინთეტიკა)**

ამ პროგრამით თქვენ შეგიძლიათ გარეცხოთ თქვენი სარეცხი (როგორცაა მაგალითად: ბერანგები, ბლუზები, სინთეტიკისა და ბამბის ნარევი ქსოვილები და ა. შ.). პროგრამის ხანგრძლივობა შესამჩნევად შემცირდება და რეცხვის მაღალი ეფექტურობა გარანტირებულია. თუ სწრაფი რეცხვის ღილაკს არ დააჭერთ იქნება უზუნველყოფილი ძალიან ჭუჭყიანი სარეცხის რეცხვისა და გავლების საუკეთესო ხარისხი.

• **Woollens / Hand Wash (შალის ქსოვილი / ხელით რეცხვა)**

გამოიყენეთ ეს პროგრამა თქვენი შალის/დელიკატური სარეცხისთვის. აირჩიეთ შესაბამისი ტემპერატურა, როგორც მითითებულია თქვენი ტანსაცმლის იარლიყზე. თქვენი სარეცხი ძალიან მსუბუქ რეჟიმში გაირეცხება, რათა ტანსაცმელი არ დაზიანდეს.



"ამ მანქანის შალის ქსოვილის რეცხვის პროგრამა დამტკიცებულია "Woolmark Company"-ის მიერ, სარეცხ მანქანაში გასარეცხი შალის ქსოვილის ტანსაცმლის რეცხვისთვის, იმ პირობით, თუ ტანსაცმელი გაირეცხება მის ეტიკეტზე მითითებული და ამ სარეცხი მანქანის მწარმოებლის მიერ დადგენილი ინსტრუქციის თანახმად.M14022" გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიაში, ჰონგკონგსა და ინდოეთში "Woolmark"-ის სავაჭრო ნიშანი სერტიფიცირების სავაჭრო ნიშანს წარმოადგენს.

4.3.6 დამატებითი პროგრამები

განსაკუთრებული შედეგებისთვის, მანქანას გააჩნია დამატებითი პროგრამები.



დამატებითი პროგრამები შეიძლება განსხვავდებოდეს მანქანის მოდელის შესაბამისად.

• **Cottons Eco (ბამბის ქსოვილი ეკონომიური)**

გამოიყენეთ ზომიერად დასვრილი, გამძლე ბამბის თეთრეულის რეცხვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რეცხვის პროცესი ამ პროგრამაში უფრო ხანგრძლივია ვიდრე სხვა პროგრამებში, ის უზრუნველყოფს ელექტროენერჯისა და წყლის მაღალ ეკონომიურობას. წყლის ფაქტორული ტემპერატურა შეიძლება განსხვავდებოდეს განცხადებული ტემპერატურისგან. თუ სარეცხის ნაკლებ ოდენობას ჩატირთავთ მანქანაში (მაგ.: 1/2 ან უფრო ნაკლებ მოცულობას), პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება ავტომატურად შემცირდეს. ამ შემთხვევაში, ელექტროენერჯისა და წყლის მოხმარება კიდევ უფრო შემცირდება, რაც უფრო ეკონომიური რეცხვას უზრუნველყოფს.

• **Hygiene (ჰიგიენა)**

ეს არის ხანგრძლივი პროგრამა, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სარეცხისთვის, რომელიც საჭიროებს ჰიგიენურ რეცხვას მაღალ ტემპერატურაზე ინტენსიური და ხანგრძლივი რეცხვის ციკლით. ჰიგიენის უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს გაცხელების უფრო ხანგრძლივი დრო და გავლების დამატებითი საფეხური.

• **GentleCare (დელიკატური ქსოვილი)**

ამ პროგრამით თქვენ შეგიძლიათ თქვენი სარეცხი დელიკატური ქსოვილისგან, როგორცაა მაგალითად: სინთეტიკისა და ბამბის ნარევი ტრიკოტაჟი ან წინდები. ამ პროგრამით თქვენი სარეცხი უფრო დელიკატურად ირეცხება. გარეცხთ ტანსაცმელი, რომლის ფერის შენარჩუნებაც გასურთ ან 20 გრადუსზე ან აირჩიეთ ცივი წყლით რეცხვის პარამეტრი.

• **Daily Xpress / Xpress Super Short (ყოველდღიური ექსპრესი / ექსპრესი სუპერ მოკლე)**

გამოიყენეთ ეს პროგრამა თქვენი მსუბუქად დასვრილი ან დაულაქავებელი ბამბის ტანსაცმლისთვის, ხანმოკლე დროში. პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს 14 წუთამდე, თუ დააჭერთ სწრაფი რეცხვის დილაკს. როცა სწრაფი რეცხვის ფუნქციის დილაკს დააჭერთ, სარეცხი რაოდენობა არ უნდა იყოს 2 (ორ) კგ-ზე მეტი.

• **Dark Care / Jeans (მუქი ტანსაცმელი / ჯინსი)**

გამოიყენეთ ეს პროგრამა თქვენი მუქი ფერის ან ჯინსის ტანსაცმლის ფერის დაცვისთვის. ის უზრუნველყოფს ეფექტურ რეცხვას ბარაბანის სპეციალურად განსაზღვრული ბრუნვების საშუალებით, მაშინაც კი, თუ ტემპერატურა დაბალია. რეკომენდებულია თხევადი სარეცხი საშუალების ან შალის ქსოვილის შამპუნის გამოყენება, მუქი ფერის სარეცხისთვის. არ გარეცხოთ ტანსაცმელი დელიკატური ქსოვილისგან, რომელიც შეიცავს შალს და ა.შ.

• **Mix 40 (შერეული 40)**

გამოიყენეთ ბამბისა და სინთეტიკის ტანსაცმლის ერთად გასარეცხად, მათი გადახარისხების გარეშე.

• **Shirts (პერანგები)**

ეს პროგრამა გამოიყენება ბამბის, სინთეტიკის და სინთეტიკაშერეული ქსოვილის პერანგების გასარეცხად. ის ამცირებს ნაოჭებს. როცა სწრაფი რეცხვის ფუნქციის დილაკს დააჭერთ, სრულდება წინასწარი დამუშავების ალგორითმი.

• გამოიყენეთ წინასწარი დამუშავების ქიმიური საშუალება პირდაპირ ტანსაცმელზე ან დაუმატეთ სარეცხ საშუალებასთან ერთად, როცა მანქანა იწყებს წყლის აღებას მიწოდების მთავრი უჯრის მეშვეობით. ამგვარად, თქვენ შეძლებთ უზრუნველყოთ იგივე ეფექტი, რომელსაც იღებთ ჩვეულებრივი რეცხვის დროს, მაგრამ დროს უფრო მოკლე პერიოდში. თქვენნი პერანგების გამოყენების ხანგრძლივობა იზრდება.

• **Outdoor / Sports (საგარეო / სპორტული)**

ამ პროგრამის საშუალებით, შეგიძლიათ გარეცხოთ სპორტული და საგარეო ტანსაცმელი, რომელიც შეიცავს ბამბის/სინთეტიკის ნარევეს და დაფარულია წყალგაუმტარი ზედაპირით, როგორცაა გორტექსი და ა.შ. იგი უზრუნველყოფს თქვენი ტანსაცმლის ფრთხილად რეცხვას სპეციალური ბრუნვითი მოძრაობების მეშვეობით.

• **Lingerie (ქალის თეთრეული)**

ეს პროგრამა შეგიძლიათ გამოიყენოთ ტანსაცმლისთვის დელოკატური ქსოვილისგან, რომელიც განკუთვნილია ხელით რეცხვისთვის და ქალის თეთრეულისთვის. ტანსაცმლის მცირე რაოდენობა უნდა გაირეცხოს სარეცხ ტომარაში. კაუჭები, ღილები, ელვები და ა.შ. უნდა იყოს შეკრული.

• **Down Wear (მოსაცმელი)**

გამოიყენეთ ეს პროგრამა იმ მოსახამების, ჟილეტების, ქურთუკების და ა.შ. გასარეცხად, რომელთაც აქვთ იარლიყი, "მანქანით რეცხვისთვის". სპეციალური მბრუნავი პროფილების წყალობით, წყალი შეაღწევს საპაერო სივრცეებში ბუმბულს შორის.

4.3.7 სპეციალური პროგრამები

სპეციალური გამოყენებისთვის, აირჩიეთ რომელიმე, შემდეგი პროგრამებიდან.

• **Rinse (გავლება)**

გამოიყენეთ ეს პროგრამა, როდესაც გსურთ სარეცხის ცალ-ცალკე გავლება ან გახამება.

• **Spin+Drain (ბრუნვა + ამოშრობა)**

ეს პროგრამა შეგიძლიათ გამოიყენოთ ტანსაცმელიდან წყლის მოსაშორებლად და მანქანიდან წყლის მთლიანად გამოსადევნად.


ამ პროგრამის არჩევამდე, აირჩიეთ ბრუნვის სასურველი სიჩქარე და დააჭირეთ დაწყების/პაუზის ღილაკს. პირველ რიგში, მანქანა მასში მოთავსებულ წყალს გამოდევნის. შემდეგ, ის სარეცხს დაპტრიალებს ბრუნვის მითითებული სიჩქარით და მათგან გამოდევნილ წყალს ამოაშრობს. თუ გსურთ მხოლოდ წყლის ამოშრობა, სარეცხის დატრიალების გარეშე, აირჩიეთ ტუმბო+ბრუნვის პროგრამა და შემდეგ აირჩიეთ ბრუნვის გარეშე ფუნქცია, ბრუნვის სიჩქარის რეგულირების ღილაკის საშუალებით. დააჭირეთ დაწყების/პაუზის ღილაკს.

 გამოიყენეთ ბრუნვის უფრო დაბალი სიჩქარე დელოკატური სარეცხისთვის.

4.3.8 ტემპერატურის არჩევა

ახალი პროგრამის არჩევისას, რეკომენდებული ტემპერატურის დონე, არჩეული პროგრამისთვის, ტემპერატურის ინდიკატორზე ჩნდება.

ტემპერატურის დასაწევად, დააჭირეთ ტემპერატურის რეგულირების ღილაკს. ტემპერატურა ეტაპობრივად დაიკლებს. ტემპერატურის დონის ნათურა არ აინთება, თუ არჩეულია ცივი წყლით რეცხვა.

 თუ პროგრამამ გაცხელების საფეხურს არ მიაღწია, შეგიძლიათ, ტემპერატურა შეცვალოთ, მანქანის პაუზის რეჟიმში გადართვის გარეშე.

4.3.9. ბრუნვის სიჩქარის არჩევა

ახალი პროგრამის არჩევისას, ბრუნვის სიჩქარის ინდიკატორზე გამოჩნდება არჩეული პროგრამისთვის რეკომენდებული ბრუნვის სიჩქარე.

ბრუნვის სიჩქარის შესამცირებლად, დააჭირეთ ბრუნვის სიჩქარის რეგულირების ღილაკს. ბრუნვის სიჩქარე თანდათანობით მცირდება. შემდეგ, პროდუქტის მოდელის გათვალისწინებით, ეკრანზე ვარიანტები - "გავლების შეჩერება" და "ბრუნვის გარეშე" გამოჩნდება. "ბრუნვის გარეშე" ფუნქციის არჩევისას, გავლების დონის ინდიკატორი არ ჩაირთვება.

გავლების შეჩერება

თუ მანქანიდან სარეცხის გამოღებას პროგრამის დასრულებისთანავე არ აპირებთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ გავლების შეჩერების ფუნქცია, რათა გააჩეროთ თქვენი სარეცხი საბოლოო გასავლები წყალში, რომ ის არ დაიჭმუჭნოს, როცა მანქანაში წყალი არ იქნება. დააჭირეთ დაწყების/პაუზის ღილაკს, ამ პროცესის შემდეგ, თუ გასურთ წყლის ამოშრობა, თქვენი სარეცხის დატრიალების გარეშე. პროგრამა განახლდება და დასრულდება წყლის ამოშრობის შემდეგ. თუ გასურთ წყალში გაჩერებული სარეცხის დატრიალება, დაარეგულირეთ ბრუნვის სიჩქარე და დააჭირეთ დაწყების/პაუზის ღილაკს. პროგრამა კვლავ გაგრძელდება. წყალი ამომშრალია, სარეცხი - დატრიალებული, პროგრამა კი - დასრულებული.



თუ პროგრამამ ბრუნვის საფეხურს არ მიაღწია, შეგიძლიათ, სიჩქარე შეცვალოთ, მანქანის პაუზის რეჟიმში გადართვის გარეშე.

4.3.10 დამატებითი ფუნქციის არჩევა

აირჩიეთ სასურველი დამატებითი ფუნქცია, პროგრამის გაშვებამდე. გარდა ამისა, თქვენ ასევე შეგიძლიათ, აირჩიოთ ან გააუქმოთ დამატებითი ფუნქციები, რომლებიც შესაფერისია გაშვებული პროგრამისთვის, დაწყების/პაუზის ღილაკზე დაჭერის გარეშე, მანქანის მუშაობის პროცესში. ამისათვის, მანქანა უნდა იყოს შესაბამის საფეხურზე, სანამ დამატებითი ფუნქციას აირჩევთ ან გააუქმებთ.

თუ დამხმარე ფუნქციის არჩევა ან გაუქმება შეუძლებელია, შესაბამისი დამხმარე ფუნქციის შუქი 3-ჯერ გაანათებს, მომხმარებლის გასაფრთხილებლად.



თუ მეორე დამატებითი ფუნქცია, რომელიც პირველთან შესაბამისად მოდის, არჩეულია მანქანის აბუშავებამდე, პირველად არჩეული ფუნქცია უნდა გაუქმდეს, ხოლო მეორე დამატებითი ფუნქციის არჩევა გააქტიურებული დარჩება.

პროგრამისთვის შესაბამისი დამატებითი ფუნქციის არჩევა შეუძლებელია. (იხილეთ "პროგრამისა და გამოყენების ტაბულა")

დამატებითი ფუნქციების ღილაკები შეიძლება განსხვავდებოდეს მანქანის მოდელის შესაბამისად.

4.3.10.1 დამატებითი ფუნქციები

• წინასწარი რეცხვა

წინასწარი რეცხვა საჭიროა მხოლოდ ძალიან დავსვრილი სარეცხისთვის. წინასწარი რეცხვის გამოუყენებლობა დაგიზოგავთ ელექტროენერგიას, წყალს, სარეცხ საშუალებასა და დროს.



წინასწარი რეცხვა, სარეცხი საშუალების გარეშე, რეკომენდებულია ტიულის ქსოვილისა და ფარდებისთვის.

• სწრაფი+

ამ ფუნქციის არჩევისას შესაბამისი პროგრამის ხანგრძლივობა მცირდება 50%-ით.

რეცხვის ოპტიმიზაციის, მაღალი მექანიკური აქტივობის და წყლის ოპტიმალური მოხმარების წყალობით,

რეცხვის ხანგრძლივობის შემცირების მიუხედავად, მიიღწევა მაღალი ეფექტურობა.



როცა ამ ფუნქციას ირჩევთ, თქვენს მანქანაში მოათავსეთ პროგრამის ტაბულით გათვალისწინებული სარეცხის მაქსიმალური რაოდენობის ნახევარი.


• დამატებითი გავლება

ეს ფუნქცია მანქანას საშუალებას აძლევს, მოახდინოს დამატებითი გავლება, უკვე შესრულებული გავლების გარდა, ძირითადი რეცხვის შემდეგ. ამრიგად, შესაძლოა შემცირდეს მგრძობიარე კანისთვის (ბავშვები, ალერგიული კანი და ა. შ.) სარეცხი საშუალების ნარჩენებისგან ზიანის მიყენების შესაძლებლობა.

4.3.10.2 ფუნქციები/პროგრამები, რომელთა არჩევა შესაძლებელია დილაკებზე 3 წამის განმავლობაში დაჭერით


•ცილინდრის გაწმენდა

პროგრამის არჩევითვის, დააჭირეთ 1-ლ დამატებითი ფუნქციის დილაკს და გააჩერეთ 3 წამი. რეგულარულად გამოიყენეთ (1-2 თვეში ერთხელ), ცილინდრის გასაწმენდად და საჭირო ჰიგიენის უზრუნველსაყოფად. გაუშვით პროგრამა, როცა მანქანა სრულიად ცარიელია. უკეთესი შედეგის მისაღწევად, ჩაყარეთ მინაღულის მოსაშორებელი ფხვნილი, სარეცხი მანქანებისთვის სარეცხი საშუალების განყოფილებაში ნომ. „2“. პროგრამის დასრულების შემდეგ, ჩასატვირთი კარი ოდნავ ღია დატოვეთ, რათა მანქანის შიდა მხარე გაშრეს.

	ეს სარეცხი პროგრამა არ არის. ეს მანქანის მოვლის პროგრამაა. არ გაუშვათ პროგრამა, როცა მანქანაში რამე დევს. თუ ასე მოიქცევით, მანქანა აღმოაჩენს, რომ შიგნით სარეცხი დევს და პროგრამას შეწყვეტს.
---	--

• ბავშვებისგან დამცავი საკეტი

გამოიყენეთ ბავშვებისგან დამცავი საკეტის ფუნქცია, რათა ბავშვებმა მანქანის მუშაობას ხელი არ შეუშალონ. ამრიგად, თქვენ შეძლებთ გაშვებული პროგრამის ცვლილების თავიდან აცილებას.


	თუ პროგრამის არჩევის დილაკს გადართავთ, როცა ბავშვებისგან დამცავი საკეტი გააქტიურებულია, ეკრანზე "გაგრძელა" გამოჩნდება. ბავშვებისგან დამცავი საკეტი არ იძლევა რაიმე ცვლილების შეტანის საშუალებას, პროგრამებსა და არჩეულ ტემპერატურას, სიჩქარესა და დამატებით ფუნქციებში.
	მაშინაც კი, თუ აირჩევთ სხვა პროგრამას, პროგრამის არჩევის დილაკით, როცა ბავშვებისგან დამცავი საკეტი გააქტიურებულია, თავდაპირველად არჩეული პროგრამა მუშაობას გააგრძელებს.

ბავშვებისგან დამცავი საკეტის გააქტიურება:

2. დააჭირეთ დამატებითი ფუნქციის დილაკს და გააჩერეთ 3 წამი. ეკრანზე გამოჩნდება "C03", "C02", "C01," შესაბამისად, სანამ დილაკზე ხელი დაჭერილი გაქვთ, 3 წამის განმავლობაში. შემდეგ, როცა დამატებითი ფუნქციის დილაკი 2 ციმციმებს, ეკრანზე გამოჩნდება "გაგრძელა," (Con) რომელიც მიუთითებს, რომ ბავშვებისგან დამცავი საკეტი გააქტიურებულია. თუ რომელიმე დილაკს დააჭერთ, ან პროგრამის არჩევის დილაკს გადართავთ, როცა ბავშვებისგან დამცავი საკეტი გააქტიურებულია, ეკრანზე იგივე ფრაზა გამოჩნდება.

ბავშვებისგან დამცავი საკეტის გაუქმება:

დააჭირეთ დამატებითი ფუნქციის დილაკს 2 და გააჩერეთ 3 წამი, როცა პროგრამა ჩართულია. ეკრანზე გამოჩნდება "C03", "C02", "C01," შესაბამისად, სანამ დილაკზე ხელი დაჭერილი გაქვთ, 3 წამის განმავლობაში. შემდეგ, როცა დამატებითი ფუნქციის დილაკი 2 ციმციმებს, ეკრანზე გამოჩნდება "გამორთვა," (COF) რომელიც მიუთითებს, რომ ბავშვებისგან დამცავი საკეტი გამორთულია.

	უცნობი მოყვანილი მეთოდის გარდა, ბავშვებისგან დამცავი საკეტის გასაუქმებლად, დაყენეთ პროგრამის არჩევის დილაკი ჩართვა/გამორთვის მდგომარეობაში, როცა არც ერთი პროგრამა არ მუშაობს, და აირჩიეთ სხვა პროგრამა.
	ბავშვებისგან დამცავი საკეტის გაუქმება შეუძლებელია, ელექტროენერჯის გათიშვის ან მანქანის ქსელიდან გამორთვის შემდეგ.

4.3.11 შეყოვნებული დაწყება

შეყოვნებული დაწყების ფუნქციით, პროგრამის დაწყება შეიძლება 19 საათამდე დროით შეყოვნდეს. შეყოვნებული დაწყების დროის გაზრდა შესაძლებელია 1 საათიანი მატებით.



არ გამოიყენოთ თხევადი სარეცხი საშუალებები შეყოვნებული დაწყების რეჟიმის არჩევისას! არსებობს ტანსაცმლის დალახვების რისკი.

1. გააღეთ ჩასატვირთი კარი, მოათავსეთ სარეცხი და ჩაყარეთ სარეცხი საშუალება და ა. შ.
2. აირჩიეთ რეცხვის პროგრამა, ტემპერატურა, ბრუნვის სიჩქარე და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ფუნქციები.
3. აირჩიეთ სასურველი დრო, შეყოვნებული დაწყების დროს დააჭირეთ დაჭირეთ.
4. დააჭირეთ დაწყების/პაუზის დროს. თქვენ მიერ არჩეული შეყოვნებული დაწყების დრო ევრანზე გამოიტანება. დაიწყება შეყოვნებული დაწყების უკუ ათვლა. “_” სიმბოლო, შეყოვნებული დაწყების დროის შემდეგ, ევრანზე ზევით და ქვევით მოძრაობს.



დამატებითი სარეცხის მოთავსება შესაძლებელია შეყოვნებული დაწყების პერიოდის განმავლობაში.

5. ათვლის დასრულებისას, ევრანზე გამოჩნდება არჩეული პროგრამის ხანგრძლივობა. “_” სიმბოლო გაქრება და დაიწყება არჩეული პროგრამა.

შეყოვნებული დაწყების პერიოდის შეცვლა

თუ გნებავთ, დრო უკუ ათვლისას შეცვალოთ:

1. დააჭირეთ შეყოვნებული დაწყების დროს. დრო 1 საათით გაიზრდება, თქვენ მიერ დროს დააჭირაზე.
2. თუ გსურთ, შეამციროთ შეყოვნებული დაწყების დრო, განმეორებით დააჭირეთ შეყოვნებული დაწყების დროის დროს, სანამ ევრანზე სასურველი შეყოვნებული დაწყების დრო არ გამოჩნდება.

შეყოვნებული დაწყების ფუნქციის გაუქმება

თუ გსურთ, გააუქმოთ შეყოვნებული დაწყების დროის ათვლა და დაუყოვნებლივ დაიწყეთ პროგრამა:

1. შეყოვნებული დაწყების პერიოდი ნულამდე დაიყვანეთ ან პროგრამის არჩევის დროს სხვა პროგრამაზე გადაართეთ. ამრიგად, შეყოვნებული დაწყების ფუნქცია გაუქმდება. დასრულების/ გაუქმების ნათურა განუწყვეტლივ ანათებს.
2. შემდეგ, აირჩიეთ პროგრამა, რომლის კვლავ გაშვებაც გინდათ.
3. პროგრამის დასაწყებად დააჭირეთ დაწყების/პაუზის დროს.

4.3.12 პროგრამის დაწყება

1. პროგრამის დასაწყებად დააჭირეთ დაწყების/პაუზის დროს.
2. აინთება პროგრამის შემდეგი შეტყობინების ნათურა, რომელიც პროგრამის დაწყებაზე მიუთითებს.



თუ არც ერთ პროგრამას არ გაუშვებთ ან არც ერთ დროს არ დააჭირებთ, პროგრამის არჩევის პროცესის განმავლობაში, 1 წუთის ფარგლებში, მანქანა პაუზის რეჟიმში გადავა და ტემპერატურის, სიჩქარისა და ჩასატვირთი კარის ნათურების განათების დონე დაიკლებს. სხვა მისათითებელი ნათურები და მანიშნებლები გამოირთვება. როცა პროგრამის არჩევის დროს დაატრიალებთ ან რომელიმე დროს დააჭირებთ, მისათითებელი ნათურები და მანიშნებლები კვლავ ჩაირთვება.

4.3.13 პროგრამის მუშაობა

ჩართული პროგრამის მუშაობას შეიძლება მოსდევს პროგრამის შემდგომი მანიშნებელი. პროგრამის ყოველი საფეხურის დასაწყისში, შესაბამისი ინდიკატორის ნათურა აინთება, ხოლო დასრულებული საფეხურის ნათურა ჩაქრება. შეგიძლიათ შეცვალოთ დამატებითი ფუნქციები, სიჩქარისა და ტემპერატურის პარამეტრები, პროგრამის მოქმედების შეჩერების გარეშე, მისი მუშაობის დროს. ამისათვის, ცვლილება, რომლის გაკეთებასაც აპირებთ, უნდა იყოს მოქმედი პროგრამის საფეხურის შემდგომ საფეხურზე. თუ ცვლილება შეუთავსებადია, შესაბამისი ნათურა 3-ჯერ გაანათებს.



თუ მანქანა ბრუნვის საფეხურს არ გაივლის, შეიძლება გააქტიურებული იყოს გავლემის შეყოვნების ფუნქცია, ან შეიძლება გააქტიურდეს დაუბალანსებელი ჩატვირთვის ავტომატური აღმოჩენის სისტემა, მანქანაში სარეცხის დაუბალანსებელი მოთავსების გამო.

4.3.14 ჩასატვირთი კარის საკეტი

მანქანის ჩასატვირთი კარს აქვს ჩაკეტვის სისტემა, რაც ხელს უშლის ჩასატვირთი კარის გაღებას, იმ შემთხვევებში, როცა წყლის დონე შეუსაბამოა. ჩასატვირთი კარის სიმბოლო დაიწყებს განათებას, როცა მანქანა პაუზის რეჟიმში გადაირთვება. მანქანა ამოწმებს წყლის დონეს მის შიგნით. თუ დონე შესაბამისია, ჩასატვირთი კარის ნათურა უწყვეტად ინთება 1-2 წუთის განმავლობაში და ჩასატვირთი კარის გაღება შესაძლებელია. თუ დონე შეუსაბამოა, ჩასატვირთი კარის ნათურა ითიშება და ჩასატვირთი კარის გაღება შეუძლებელია. თუ იძულებული ხართ, ჩასატვირთი კარი გააღოთ, როცა ჩასატვირთი კარის ნათურა გამორთულია, მიმდინარე პროგრამა უნდა გააუქმოთ. იხ. "პროგრამის გაუქმება."

4.3.15 არჩევის შეცვლა, პროგრამის დაწყების შემდეგ

მანქანის გადართვა პაუზის რეჟიმში

მანქანის პაუზის რეჟიმში გადასართვლად, დააჭირეთ დაწყების/პაუზის ღილაკს, როცა პროგრამა ჩართულია. საფეხურის ნათურა, რომელზეც მანქანა იმყოფება, იწყებს ნათებას, პროგრამის შემდგომ ინდიკატორში, იმის საჩვენებლად, რომ მანქანა გადართულია პაუზის რეჟიმში.

გარდა ამისა, როცა ჩასატვირთი კარი გასაღებად მზად არის, ჩასატვირთი კარის ნათურა ასევე უწყვეტად ინთება, პროგრამის საფეხურის ნათურასთან ერთად.

დამატებითი ფუნქციების, სიჩქარისა და ტემპერატურის შეცვლა

